2025 წლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა

1. ა;
2. გ;
3. ბ;
4. დ;
5. ბ;
6. გ;
7. ა;
8. ბ;
9. დ;
10. ბ;
11. გ;
12. დ;
13. გ;
14. ა;
15. დ;
16. გ;
17. ა;
18. ა;
19. გ;
20. ა;
21. ა;
22. ა;

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

23. რეკონსტრუქცია
24. ავთენტური
25. მინიატურა
26. ტრაფარეტი
27. რეალისტური
28. სტილიზებული
29. კარეატიდა

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

30. ჭეშმარიტია

31. მცდარია: გრაფიკის, ან ფერწერის საშუალებების ჩამონათვალი: ფერი, სხვადსახვა ხასიათის მონასმი და ა. შ.

32. ჭეშმარიტია

33. მცდარია: ექსპერიმენტების, ნოვატორული იდეების, ტრადიციების რღვევის, სხვადასხვა დარგის თავისებურებების გამთლიანების ხელოვნება ან ისტორიული და რელიგიური თემები კლასიკური ხელოვნების - რენესანსის, ბაროკოს, კლასიციზმის წარმომადგენლების ინტერესის საგანია

34. მცდარია: ჟანრები

35. ჭეშმარიტია

36. ჭეშმარიტია

37. მცდარია: მეტოპი

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

38.

ღნიშვნები სურათზე / დავალების №	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
38.1								X
38.2				X				
38.3		X						
38.4					X			
38.5						X		
38.6							X	

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

39.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული - პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი სწორად მიაკუთვნებს სკულპტურას სიურელიზმს (უთითებს ავტორს - სალვადორ დალის, თუ არა არ მოეთხოვება), ვენერა მილოსელის კლასიკური ქანდაკება გამოსახულია უცნაური ელემენტებით, უჯრებით ქალის სხეულის სხვადასხვა მონაკვეთზე. ერთი მხრივ, სიმბოლურად ეს არის სხეულის შიგნით ჩახედვის, სულის დანახვის ალეგორია, ხოლო მეორე მხრივ კი ქანდაკება ანტროპომორფულ კარადად აქვს გადაქცეული მხატვარს. ფორმათა მოულოდნელი, სრულიად შეუთავსებელი დაკავშირება იძლევა იმის საფუძველს, რომ ქანდაკება სიურეალიზმს მივაკუთვნოთ. სიურეალიზმის არსი ხომ აბსურდული, ნატურალისტური, ურთიერთგამომრიცხავი მხატვრული სახეების დაკავშირებაში, „რედი მეიდისა“ და კოლაჟის, ასევე ფერწერის ტექნიკაში შესრულებულ ნაწარმოებებში გამოიხატება. წარმოდგენილი ქანდაკება სწორედ ამ თავისებურებას ავლენს. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი.
3 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა მისი მსჯელობა სრულყოფილი არ არის - იგი ყურადღებას ამახვილებს ნიმუშისა და მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ მხოლოდ რამდენიმე თავისებურებაზე, მსჯელობაში გარკვეული შეცდომები შეინიშნება. ***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილ ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს ქანდაკების დამახასიათებელ ყოველ თავისებურებაზე.
2 ქულა	აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ საკითხს. აპლიკანტის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. ***ან*** აპლიკანტი, მართალია ვერ ახერხებს ქანდაკების მხატვრულ მიმდინარეობასთან იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების საინტერესო ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს ქანდაკების დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურებაზე.
1 ქულა	აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა ვერ ახერხებს საკითხის გაანალიზებას და მის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. ***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის უნარს ავლენს.
0 ქულა	პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.

	პასუხი ბუნდოვანია, აპლიკანტის მსჯელობაში არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებებია.

40.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომ საილუსტრაციოდ წარმოდგენილია რენესანსის ეპოქის არქიტექტურის ნიმუში (ასახელებს ავტორს - დონატო ბრამანტეს, თუ არა არ მოეთხოვება). ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიშნებია წრიული, მცირე ზომის გუმბათიანი არქიტექტურის დახვეწილი, ჰარმონიული, მკვეთრი პროპორციული გააზრება, სიმეტრიული, ცენტრული კონსტრუქცია, რომელიც საფეხურებიან საფუძველზეა აგებული და სვეტებით გარშემორტყმული; ანტაბლემენტის თავზე ბალუსტრადაა; ნაგებობას ნახევარსფერული გუმბათი აგვირგვინებს. ნაგებობის გაფორმების დეკორატიული სისტემა ზომიერი და ტექტონიკურია. ფასადები პილასტრებით არის გაფორმებული, რომელთა შორის რიტმულად ფანჯრები და წრიული ფორმის ნიშებია განთავსებული. ნაგებობის დახვეწილი სისადავე ასახავს რენესანსის თავისებურებას - კლასიკურ პრინციპებზე დაფუძნებული მკაცრი, სიმეტრიული, გაწონასწორებული, სვეტებით შემკული არქირექტურის დიდებულებას. რენესანსის ეპოქისა და წარმოდგენილი ნაგებობის თავისებურებები ერთმანეთის შესატყვისია, მეტიც ტემპიეტოს არქიტექტურა მაღალი რენესანსის არქიტექტურის მოდელად შეიძლება მივიჩნიოთ.
3 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ეპოქის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე და ჩამოთვლის ზოგიერთ თავისებურებას, თუმცა არგუმენტებით სრულყოფილად მოსაზრების გამყარებას ვერ ახერხებს.
2 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ეპოქის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე, თუმცა მსჯელობის არგუმენტირებულად წარმართვა უჭირს.
1 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ეპოქის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე, ან აკეთებს ზოგად აღწერას.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

41.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	აპლიკანტი ახასიათებს წარმოდგენილ ფერწერის ნიმუშებს, მსჯელობს მათ შორის არსებულ მხატვრულ გავლენებსა და კავშირებზე, ინტერპრეტაციისა და მხატვრული ენის შესაძლებლობაზე, დეტალების მსგავსებაზე და სტილურ განსხვავებაზე, როგორც ერთი და იმავე იდეისა და ემოციის სხვადასხვა სახვითი ენით გადმოცემის შესაძლებლობაზე - ქრისტიანობის იდეა და ექსპრესია გამოხატული სხვადასხვა ეპოქის და სტილის ნამუშევარში.
3 ქულა	აპლიკანტი ახერხებს იმსჯელოს მოცემულობის შესაბამისად, თუმცა უძნელდება საკითხის მკაფიოდ განსაზღვრა.
2 ქულა	აპლიკანტი ახერხებს დაახასიათოს მხატვრული ნიმუშები, თუმცა დამაჯერებელი დასკვნის გაკეთება უჭირს.
1 ქულა	აპლიკანტი ახერხებს აღწეროს კომპოზიციები, თუმცა დასკვნა ვერ გამოაქვს.

0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

42.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 15 I პუნქტისათვის 5 ქულა II და III პუნქტისათვის 4 ქულა IV პუნქტისათვის 2 ქულა	
I 5 ქულა II III 4 ქულა IV 2ქულა	საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული - პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებით და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით.
I 4 ქულა II III 3 ქულა	აპლიკანტი ხელოვნების ნიმუშების მეტ-ნაკლებად სრულ შედარებით ანალიზს აკეთებს. მსჯელობა არ არის სრულყოფილი და გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს.
I II III 2 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, ან მისი პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემასთან - აპლიკანტს ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზის გაკეთება უჭირს. პასუხი სუსტია და არათანმიმდევრული, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.
1 ქულა	აპლიკანტი ვერ ახერხებს მსჯელობის განვითარებას. მსჯელობს არათანმიმდევრულად, არაადეკვატურად და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს.
0 ქულა	დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და შედარებითი ანალიზის უნარი; პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია, ან მოყვანილია არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებები.